

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

ISSN 1987-6564

**ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის შრომები**

XIV-XV

**THE PROCEEDINGS OF THE INSTITUTE
OF HISTORY AND ETHNOLOGY**

XIV-XV

თბილისი

Tbilisi

2016-2017

მთავარი რედაქტორი: **ვაჟა კიკნაძე**

სარედაქციო კოლეგია: **გონელი არახამია, ვახტანგ გოილაძე, შოთა ვადაჭკორია, ჰუბერტუს იანი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა იოსელიანი, ეკა კვაჭანტირაძე, სეიჩი კიტაგავა (იაპონია), გიორგი ქავთარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ხათუნა ქოქრაშვილი, ნინო ღამბაშიძე, დოდო ჭუმბურიძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, თემო ჯოჯუა**

კრებული გამოსაცემად მოამზადეს: **თემო ჯოჯუამ და შალვა გლოველმა**

Editor-in-Chief: **Vazha Kiknadze**

Editorial Board: **Goneli Arakhamia, Dodo Chumburidze, Nino Gambashidze, Vakhtang Goiladze, Khatuna Ioseliani, Hubertus F Jahn (Great Britain), Lavrenti Janiashvili, Temo Jojua, Giorgi Kavtaradze (Deputy Chief editor), Seiichy Kitagawa (Japan), Khatuna Kokrashvili, Eka Kvachantiradze, Shota Vadachkoria**

Prepared for publishing by: **Temo Jojua, Shalva Gloveli**

თემო ჯოჯუა

ნაქალაქარ ანისის ახლადგამოვლენილი ქართული და გერძული ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული და ნაკაწრი წარწერები)..... 266

ირაკლი ბელაშვილი, თამაზ გოგოლაძე, თემო ჯოჯუა

სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის უცნობი სააღმშენებლო წარწერა (XV-XVI სს.) მძვრტვლეთუხუცესისა და პირის მწდის გიორგი ღაღანისძისა და მისი მუჟლის თამარ ქუაბულისძის მოხსენიებით (წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია; ტექსტის კუბლიკაცია)..... 340

ირაკლი ბელაშვილი

გიორგი ბალატოჟთა ზედა დამღების უცნობი წარწერა რუისის ღმრთისმშობლის ტაძრიდან..... 346

ღიკლომატიკა

ნიკოლოზ ჟღენტო

საინტერესო შაქტი ქართლის მეჟე სვიმონ I-სა და ოსმაღეთის სულთნის მეზად III-ის ღიკლომატიური ურთიერთობებიდან (საბუთი Qd-430 როგორც საისტორიო წყარო)..... 353

ნუმიზმატიკა

ირაკლი ფაღავა

არაბობის კერიოღში თბილისში მოჭრილი ოქროს უნიკალური მონეტა..... 368

საისტორიო გეოგრაფია

ღაგიტო მერკვილაძე

კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობის გაბებისათვის..... 375

სამხედრო ისტორია

მამუკა წურწუშია

სხეულის დამცავი საშუალებები გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში..... 388

არჩილ ჩაჩხიანი

1918 წლის სოჭი-ტუაფსუს შეტევიითი ოკერაცია და ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი..... 400

ახალი და უახლესი ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი

XIX საუკუნის ბათუმის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან..... 418

ილია ნადიშაშვილი

ღიმიტრი ერმაკოვის წერილები ბრაზინია პრასკოვია უვაროვასადგი..... 424

ღოდო ჭუმბურიკე

აკაკი ჩხენკელის რამდენიმე წერილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დასავლური ორიენტაციის შესახებ..... 436

შოთა ვადაჭკორია

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია და ოსიანობის განახლება შიდა ქართლში (1921-1924 წწ.)..... 445

EPIGRAPHY

TAMAZ GOGOLADZE, IRAKLI GELASHVILI, NINO KHARSHILADZE
GRAFFITI FROM THE POTOLETI CHURCH AND THEIR
ANALYSIS BY MEANS OF HISTORICAL AND SOURCE STUDY METHODS..... 253

TEMO JOJUA
THE NEWLY REVEALED GEORGIAN AND GREEK EPIGRAPHIC MONUMENTS
(LAPIDARY INSCRIPTIONS AND GRAFFITI) FROM THE ANCIENT CITY OF ANI..... 266

IRAKLI GELASHVILI, TAMAZ GOGOLADZE, TEMO JOJUA
AN UNKNOWN CONSTRUCTION INSCRIPTION (XV-XVI CC.) ON THE WALL
OF ST. GEORGE CHURCH IN SURAMI FORTRESS WITH MENTIONING OF GIORGI
GAGANIDZE, MECHURCHLETUKHUTSESI AND PIRIS MTSDE, AND HIS SPOUSE TAMAR
KUABULISDZE (THE HISTORY OF REVEALING THE INSCRIPTION
AND ITS STUDYING, AND PUBLICATION OF THE TEXT) 340

IRAKLI GELASHVILI
AN UNKNOWN INSCRIPTION OF GIORGI, „THE OVERSEER OF MASONS“,
FROM THE CHURCH OF THE MOTHER OF GOD IN RUISI..... 346

DIPLOMATICS

NIKOLOZ ZHGENTI
AN INTERESTING FACT FROM DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN
KING OF KARTLI SVIMON I AND OTTOMAN SULTAN MURAD III
(DOCUMENT Qd-430 AS A HISTORICAL SOURCE) 353

NUMISMATICS

IRAKLI PAGHAVA
THE UNIQUE GOLD COIN MINTED IN TIFLIS IN
THE PERIOD OF ARAB DOMINANCE..... 368

HISTORICAL GEOGRAPHY

DAVID MERKVILADZE
UNDERSTANDING LEONTI MROVELI'S DATA
ABOUT TERRITORY AND BORDERS OF KUKHETI..... 375

MILITARY HISTORY

MAMUKA TSURTSUMIA
BODY DEFENSES IN LATE MEDIEVAL GEORGIA..... 388

ARCHIL CHACHKHIANI
OFFENSIVE OPERATION SOCHI-TUAPSE
1918 AND TACTICAL ANALYSIS OF THE BATTLES..... 400

MODERN AND CONTEMPORARY HISTORY

OTAR GOGOLISHVILI
FROM THE LIFE OF THE XIX-CENTURY URBAN LIFE OF BATUMI..... 418

ILIA NADIMASHVILI
THE FACSIMILE LETTERS OF THE FAMOUS PHOTOGRAPHER
DIMITRI ERMAKOV TO COUNTESS PRASKOVIA UVAROVA..... 424

ბიორგი ბალატოზთა ზედა დამღების უცნობი წარწერა რუისის ღმრთისმშობლის ტაძრიდან

სოფელი რუისი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ეხლანდელი ქარელის რაიონში, ქარელიდან 5კმ-ზე, გორი ხაშურის საავტომობილო გზაზე. სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. შემორჩენილია ერთი ნასოფლარი, ექვსი ეკლესია და ერთი ღმრთისმშობლის ტაძრის კომპლექსი. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ღმრთისმშობლის ტაძრის კომპლექსი მდებარეობს სოფლის ცენტრში, მასში შედის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, კოშკი-სამრეკლო და გალავანი. შუა საუკუნეებში აქ იყო მროველ ეპისკოპოსთა კათედრა. ღმრთისმშობლის ეკლესიაში მეფედ ეკურთხა გიორგი II (1072-1089 წწ.), რომლის დროსაც რუისი ქართლის დედაქალაქის როლს ასრულებდა¹.

გადმოცემის თანახმად რუისის ტაძრის აგება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება თუმცა ამ ხანის ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც 1939-1940 წლებში აზომვებს აწარმოებდნენ ლევან რჩეულიშვილი და ნიკო ჩუბინაშვილი, აღნიშნავს: „რუისის ტაძარი წარმოგვიდგება როგორც ხუროთმოძღვრული კომპოზიცია, რომელიც შექმნილია არა რომელიმე გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ერთბაშად და მთლიანად, არამედ შემაერთებელია თავის თავში სხვა და სხვა ეპოქისა და ელემენტებისა, რომელიც კარგად ერწყმის ერთმანეთს“². გიორგი ჩუბინაშვილის დასკვნით, რუისის ღმრთისმშობლის ტაძრის კომპლექსში უძველესი სამშენებლო ფენა VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება, მეორე ფენა – X საუკუნეს, მესამე ფენა კი – XI საუკუნის დასაწყისს. „მესამე ფენა განსხვავებით მეორე ფენისაგან, არ იყო გამოწვეული შენობის წინასწარი დანგრევით. არამედ სურდათ ეჩვენებინათ სიძლიერე ამ ფეოდალური ცენტრისა, ძველი ტაძარი აღარ აკმაყოფილებდა ხუროთმოძღვრებაში ახლად დამკვიდრებულ ფორმებსა და ნორმებს“³, – აღნიშნავს გიორგი ჩუბინაშვილი.

თემურ-ლენგის დაშქრობების შემდეგ კომპლექსი ძლიერ დაზიანდა. მეფე ალექსანდრე I-მა დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა და მთლიანად აღადგინა კომპლექსი. აღდგენითი სამუშაოები უწარმოებიათ ასევე XVI-XVII საუკუნეებშიც.

ტაძარი მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეპიგრაფიკის თვალსაზრისით, მის კედლებზე მრავლადაა როგორც ლაპიდარული, ისე ნაკაწრი წარწერები, რომლებიც შესწავლას მოითხოვს. ჩვენი ინტერესის სფეროს სწორედ რუისის ტაძრის ეპიგრაფიკული ფონდი წარმოადგენს. წარწერების ნაწილი ბათქაშით იყო დაფარული ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში. აი, რას წერს გაზეთ ივერიის კორესპონდენტი გარსო სიკოძე 1878 წლის აგვისტოს ნომერში: „უფრო მეტად საყურადღებო და შესანიშნავია „ფერის-ცვალობის“ ეკლესია, რომელშიაც წირვა-ლოცვა სრულდება, როგორც ძველის შესანიშნავის არხიტექტურით, ისე მრავლის ძვირფასის ჩუქურთმით და ზედწარწერით; შიგნიდან გაუღესიათ კირით და დაუფარავთ ყოველივე... გარედანაც, უმეტესი ნაწილი წარწერებისა, კირით ამოუღესიათ შებათქაშების დროს. აქებენ ამ ეკლესიის მდიდარს ბიბლიოთეკას... იმედია დიდად პატივცემული დიმიტრი ბაქრაძე, ან სხვა ვინმე, არ დასტოვებენ ამ შესანიშნავს წარწერებსა და ბიბლიოთეკას უყურადღებოდ“⁴.

XX საუკუნის დასაწყისში რუისის ტაძრის მდგომარეობის შესახებ ამავე გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „სადაც წვეთს უდენია, შეღესილი კირი მთლად მოჰშორებია; ზოგან ამობურცულია, დღეს არა ხვალ მოიმზღვლევა. ჩრდილოეთითა და სამხრეთით მიდგმული საღაროები დარღვეულები არიან; ჩრდილოეთის საღარო მაინც ცუდ მდგომარეობაშია. შუა კედელი ჩამონგრეულა თუ ჩამოუნგრევიათ, ასე რომ კაცი ადვილად შევა და გამოვა“⁵.

ალექსანდრე მეფის წარწერის განხილვისას, შენიშვნებში, შეეთეთრებებზე საუბრობს გიორგი ჩუბინაშვილიც. იგი აღნიშნავს, რომ „წარწერა გაურკვევლად იკითხება შეეთეთრების გამო, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივია ჩამოცილებული“⁶. ალბათ სწორედ ეს გახლდათ მიზეზი,

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), გვ. 148.
² გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, *ენძიკის მოამბე*, V-VI (თბილისი, 1940), გვ. 429.
³ იქვე, გვ. 446.
⁴ გარსო სიკოძე, სოფელი რუისი, მარიაამბისთვის 11-ს, *ივერია*, 17 აგვისტო, №178 (1886), გვ.3.
⁵ დროებითი მეთვალყურე, სოფელი რუისი, *ივერია*, 14 აგვისტო, №173 (1903), გვ.1.
⁶ გ. ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

რომ გიორგი გალატოზთა ზედა დამდეგის წარწერამ ვერ მიიქცია მკვლევართა ყურადღება. წარწერა იმდენად ახლოსაა ალექსანდრე მეფის სააღმშენებლო წარწერასთან (მის მარცხნივ, ქვედა მხარეს, დაახლოებით, 70 სმ-ის მოშორებით), რომ წარმოუდგენელია, არ მოხვედრილიყო მკვლევართა მხედველობის არეში. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ შეთეთრების კვალი დღესაც კარგად ეტყობა ტაძარს.

რუისის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის კომპლექს სპირველად ვეწვიეთ 2014 წლის ივნისში, რა დროსაც გამოვაველინეთ რამდენიმე უცნობი ნაკაწრი წარწერა, გადმოვიღეთ როგორც მათი, ასევე ცნობილი წარწერების პალეოგრაფიული ასლები და დავიწვეთ მათი შესწავლა. ამჟამად გადმოღებული გვაქვს 30-მდე წარწერის პალეოგრაფიული ასლი (აქედან, მხოლოდ სამია ცნობილი) და მიმდინარეობს მათზე მუშაობა, ახლო მომავალში იგეგმება ამ წარწერების გამოცემა სტატიების სახით და ისინი მალე გახდება ცნობილი სამეცნიერო საზოგადოების ფართო წერეებისათვის.

წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ რუისის ტაძრის სამ წარწერას. რომელთაგან ერთ-ერთი, გიორგი გალატოზთა ზედა დამდეგის უცნობი წარწერა, სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოგვაქვს. წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVII საუკუნით ვათარიღებთ. წარწერაში მოხსენიებული გიორგი ხელმძღვანელობდა რუისის ტაძრის კომპლექსის აღდგენით სამუშაოებს, რომელიც წარმოებდა XVII საუკუნის 60-70-იან წლებში დედოფალ მარიამ დადიანის ინიციატივით. ამ წარწერის პალეოგრაფიული პირი პირველად ქვეყნდება. ტექსტს თან ახლავს სრული არქეოგრაფიული და პალეოგრაფიული დახასიათება.

ასევე, პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში XV საუკუნის ორი წარწერის: ალექსანდრე მეფის სააღმშენებლო წარწერისა და შალვა გალატოზთა ზედადამდეგის წარწერის პალეოგრაფიული პირები. წარწერების ტექსტები რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული მცირე უზუსტობებით. წინამდებარე სტატიაში ვიძლევი ზემოთ ხსენებული წარწერების დახუსტებულ წაკითხვებს.

წარმოგიდგენთ გიორგი გალატოზთა ზედა დამდეგის წარწერას რომელმაც პირველი ვიზიტისთანავე მიიქცია ჩვენი ყურადღება.

არქეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული; 3 სტრიქონი; დარღვეულია წარწერის ჰორიზონტალური მდებარეობა, პირველი და მეორე სტრიქონები დაწერილია ასწვრივ მარცხნიდან მარჯვნივ ხოლო მესამე სტრიქონი პირიქით, ქვემოთ ეშვება. ნაკვეთია დიდი ასოებით, ღრმა კვეთით, ტაძრის დასავლეთის კარის მარცხენა მხარეს, თვალსაჩინო ადგილას, იატაკიდან 198 სმ. სიმაღლეზე. უჭირავს ფართობი 45,0X25,0 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა *ქანის* ზომა: 7,6X2,3 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა *ანის* ზომა: 2,6X2,0 სმ.; წარწერა კიდურწაისრულია. გრაფემებისათვის დამახასიათებელია ლიგატურა. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი. გამოყენებულია შუაკვეცილობითი დაქარაგმება. ქარაგმის ნიშნია განივი კლაკნილი ხაზი.

† ჩ.წ. ყ.წ. წ.წ. სტრიქონი: ოთხ
სტრიქონი | კოდაჯ. სიგ.წრიული: სტ
ტექსტი: ტ.წ.წ.წ.წ. წ

† *ქ(რისტე) შეიწყალე გ(იორგი),
სახელით ოდენ გალ(ა)ტ(ო)ზთა, /
მეორედ აღმაშენებელთა, ზ(ედა)
დამდეგი, და შეუნდქნეს ღმერთმაქ
ამიხ.*

ჩ.წ.ყ.წ.წ. | სტრიქონი: ოთხ
სტრიქონი | კოდაჯ. სიგ.წრიული: სტ
ტექსტი: ტ.წ.წ.წ.წ. წ

პალეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ორხაზოვან ბადეში. თუმცა, ბადის გარეთ გადასულია *ონისა* და *განის* ქუსლი, *ქანის*, *ტარის*, *ხანის* და *ენის* ფეხი. წარწერაში *ანი* ათჯერ დასტურდება, რვა შემთხვევაში თავი ტანს მოცილებულია და კიდურწაისრულია, ტანის ქვედა რკალი ზემოთკენაა მოკაუჭებული, მხოლოდ მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვაში *ანი*, სხვებისგან განსხვავებით, გადმოცემულია ძირს დაშვებული და ფართოდ გახსნილი ტანის ქვედა რკალით რომელიც ასევე წაისრულია. ზედა ხაზი ათივე შემთხვევაში მოხრილია, ბოლოები ქვემოთაა დაშვებული. *ღონი* წარწერაში დადასტურებულია ხუთჯერ, ორი სხვა და სხვა მახასიათებლებით. პირველ და მეორე სტრიქონებში *ღონი* გადმოცემულია მრგვალი, ოდნავ წაგრძელებული, მუცლით, რომელიც მაღალი ყელით უკავშირდება ზედა განივ ხაზს, განივი ხაზი მოხრილია და ბოლოები დაშვებულია ქვემოთ; მესამე სტრიქონის პირველ

და მეორე სიტყვაში კი *ღონის* წაგრძელებული მუცელი წაწვეტებულია რაც ამ გრაფემის განვითარების მომდევნო ეტაპს წარმოადგენს. ზედა განივი ხაზების მარცხენა კიდის ზემოთ აგრესია დამახასიათებელია *განის*, *ინის*, *ლასის*, *ენის*, *ზენისა* და *მანისათვის*. *ნარი* წარწერაში დადასტურებულია ხუთჯერ, რომლის თავი საკმაოდ დაგრძელებულია და მორკალული. *ონი* წარწერაში ორჯერ დასტურდება და ორივე შემთხვევაში გადმოცემულია წაგრძელებული ტანით რომელსაც მარჯვნიდან აქვს მიდგმული ძირს დახრილი მარჯუპი. საინტერესოა *თანის* მოხაზულობაც, იგი წარწერაში დადასტურებულია სამჯერ, ერთ შემთხვევაში მოცემულია კლასიკური ფორმით: მოგრძო ნახევარწრეს – მუცელს, მარჯვნიდან მიდგმული აქვს მოკაუჭებული ტარი. ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში სამკბილა თანია მოცემული (მსგავსი შემთხვევა გვაქვს როკითის მაცხოვრის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე არსებულ ასომთავრულ წარწერაში. სადაც ოსტატი ერთ შემთხვევაში ჩვეულებრივ კლასიკური ფორმით გადმოსცემს *თანს*, ხოლო სხვა შემთხვევაში სამკბილა *თანია* ამოკვეთილი)¹.

ზემოთ ჩამოთვლილი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წარწერა მსგავსებას იჩენს XVII საუკუნის ძეგლებთან (მჭადიჯვრის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა (1668 წ.)², როკითის მაცხოვრის ეკლესიის წარწერა (1661 წ.)³, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ეპიტაფია პირღებულის მონასტრიდან (1642 წ.)⁴ და ა. შ. აქედან გამომდინარე, გიორგი გალატოხთა ზედა დამდევის წარწერა XVII საუკუნით უნდა დათარიღდეს. თუმცა, შესაძლებელია წარწერის ქრონოლოგიური ჩარჩოების კიდევ უფრო დავიწროება. XVII საუკუნეში რუისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი განაახლეს და შეამკეს დედოფალ მარიამ დადიანის ბრძანებით. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სამკრით ურბნისისა არს რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი... შემუსრა ლანგთემურ; ალაშენა ეკლესია ესე ოჭ მეფემან ალექსანდრე. შემდგომად კუალად განაახლა და შეამკო პთ დედოფალმან მარიამ“⁵.

როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდის სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გიორგი გალატოხთა ზედა დამდევი⁶. აქედან გამომდინარე, წარწერაც მარიამ დედოფლის ქართლში მოღვაწეობის პერიოდით უნდა განისაზღვროს. მარიამ დადიანი გახლდათ ქართლის მეფის როსტომ ხანის მეუღლე. იგი ქართლის დედოფალი გახდა 1634 წელს. როსტომ ხანის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა ქართლის სამეფო ტახტი ვახტანგ მუხრან-ბატონს უბოძა და უბრძანა, ცოლად მარიამ დედოფალი შეერთო. ვახტანგ V გაშორდა თავის მეუღლეს როდამ ყაფლანის ასულ ორბელიანს, სულხან საბას მამიდას და ცოლად მარიამ დედოფალი შეირთო. როდამ ორბელიანი შემონაზვნებულა ეკატერინეს სახელით და გარდაიცვალა 1681 წელს. დაკრძალულია რუისის ტაძარში⁷.

მარიამ დადიანმა ბევრი იღვაწა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინებისათვის. სახსრებს არ იშურებდა გატაცებულ ჯვარ-ხატთა თუ ხელნაწერი წიგნების გამოსახსნელად, ახალი საერო თუ საეკლესიო წიგნების გადასახსნელად (სწორედ მის სახელს უკავშირდება XVII საუკუნეში გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელიც მარიამისეული ქართლის ცხოვრების სახელით არის ცნობილი). მისი ბრძანებითა და საფასით არის აღდგენილ-განაახლებული თუ აშენებული აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ტაძარი.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მარიამ დედოფლის გარდაცვალების თარიღის თაობაზე. წყაროები სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, თუმცა ყველა მათგანი XVII საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში თავსდება⁸. მაშასადამე, მარიამ დედოფლის ქართლში მოღვაწეობის პერიოდი XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე პერიოდს მოიცავს. აქედან გამომდინარე, წარწერაც იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს. თუ კიდევ უფრო

1 ვ. ბერიძე, *XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1994), გვ. 181, ტაბ.251.
2 იქვე, გვ.35; ტაბ.52.
3 იქვე, გვ. 181; ტაბ.251.
4 ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა, *პირღებულის მონასტერი, 1989 და 2002-2003 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები* (თბილისი, 2005), გვ. 195.
5 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 373-374.
6 ტერმინი „გალატოხი“, „გალატოხთუხუცესი“ ადრინდელი ფორმაა იგი გვხვდება შორთას, ბედიის, დისაზურგის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. მოგვიანებით გვხვდება სხვა ტერმინებიც: „ზედამდგომელი“, ან „ზედამდგომი“. გვიანფეოდალურ ხანაში მშენებელი თავისთავს უმეტესად ოსტატს უწოდებს. მაგ.; ბარაკონის, მანგლისის, ვაშლოვანის, და სხვა წარწერებში. ამის პარალელურად როსტომ მეფის დროს ხმარებაში შემოდის სპარსული სიტყვა „სარიდარი“, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვარი შეცვალა. იხ. წგნ. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ (თბილისი, 2012), გვ. 154-155.
7 ა. ტულუში, *ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა* (თბილისი, 1992), გვ.40.
8 იქვე, გვ.53-54.


ჩავუღრმავდებით საკითხს და გადავხედავთ მარიამ დედოფლის ინიციატივით წარმოებული სააღმშენებლო სამუშაოების ქრონოლოგიას აღნიშნულ რეგიონში, შეგვიძლია, კიდევ უფრო დაავიწროვოთ ეს ქრონოლოგიური ჩარჩო. მარიამ დედოფლის ბრძანებით ტაძრის აგების შესახებ მოგვითხრობს ზღუდერის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ასომთავრული სააღმშენებლო წარწერა (XVII ს. II ნახევარი)¹, არადეთის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა (1666 წ.)² და ურბნისის ტაძრის მხედრული სააღმშენებლო წარწერა (1668 წ.)³. აქედან გამომდინარე, მარიამ დედოფლის ინიციატივით ამ რეგიონში ეკლესია-მონასტრების აღდგენითი სამუშაოები უწარმოებიათ XVII საუკუნის 60-70-იან წლებში. საფიქრებელია, რომ ამავე პერიოდში უნდა ჩაეტარებინათ აღდგენითი სამუშაოები რუისის ტაძრის კომპლექსზეც. აქედან გამომდინარე, წარწერაც XVII საუკუნის 60-70-იანი წლებით შეიძლება დათარიღდეს.

რუისის ღვთისმშობლის ტაძრიდან სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილია შალვა გალათოზთა ზედა მღვდის წარწერა, რომელიც მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს, იატაკის დონიდან დაახლოებით, 220 სმ. სიმაღლეზე. წარწერის ტექსტი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული, თუმცა მისი დეტალური აღწერა და პალეოგრაფიული ასლი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო წრე-ბრუნვაში. ასევე, დაზუსტებები შეგვაქვს წაკითხვაშიც.

არქეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული; 4 სტრიქონი; დაცულია წარწერის ჰორიზონტალური მდებარეობა. ნაკვეთია დიდი ასოებით, ღრმა კვეთით, ტაძრის სამხრეთ კარის მარცხენა მხარეს, თვალსაჩინო ადგილას, იატაკიდან 220 სმ. სიმაღლეზე. უჭირავს ფართობი 45,0X27,0 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა „განი“-ის ზომა: 14,0X6,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა „ანი“-ის ზომა: 3,0X2,5 სმ.; წარწერა კიდურწაისრულია. გრაფემებისათვის დამახასიათებელია ლიგატურა. გამოყენებულია ხმოვანკვეცილობითი და შუაკვეცილობითი დაქარაგმება, ქარაგმის ნიშნის წყობის განივი ხაზი.

ღ ზ რ ი ლ ხ ბ | ზ ც ჭ თ უ ლ ს | ყ უ ხ ჯ ტ ს ყ ნ ს | ი რ ე ტ ნ

გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზ(ო)თ / ზ(ე)დ(ა) მ(ღ)ვ(ს)ა / შ(ა)ლ(ვ)ა ს(ე)უნ(დ)ნ(ე)ს / ღ(მ)ერ(თ)მ(ა)ნ ა(მ)ი(ნ).



პალეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ორხაზოვან ბადეში, მხოლოდ განის ქუსლი ჩამოდის ოდნავ ქვემოთ. შესრულებულია ღრმა, მკაფიო კვეთით. მაღალი გრაფემები გამოყვანილია ღამაზი ხელით, დაფერილია სინურით, ხასიათდება ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მრგვალი ფორმებით. წარწერაში ანი ოთხჯერ დასტურდება, ოთხივე შემთხვევაში თავი ტანს მოცილებულია, გრაფემა გადმოცემულია ორი ნახევარწრის სახით ზედა ნახევარწრე ოდნავ პატარაა, ნახევარწრეების მარცხენა კიდეები წაისრულია. წარწერაში დონი მეორე სტრიქონის მეორე სიტყვაში დასტურდება, პატარა გრაფემაა და ჩაწერილია მანის მუცელში, დაზიანებულია, გადმოცემულია მრგვალი ოდნავ წაგრძელებული მუცლით, ზედა განივი ხაზი კი არ იკითხება. ზედა განივი ხაზების მარცხენა კიდის ზემოთ აგრესა დამახასიათებელია განის, ლასის, ზენისა და მანისათვის. ნარი წარწერაში დადასტურებულია სამჯერ, რომლის თავი საკმაოდ დაგრძელებულია და მორკალური. ონი გადმოცემულია წაგრძელებული ტანით რომელსაც მარჯვნიდან აქვს მიდგმული ძირს დახრილი მარყუჟი.

ტექსტის დადგენა და ანალიზი: წარწერა მცირედ დაზიანებულია, თუმცა ტექსტის წაკითხვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. იგი რამდენჯერმეა გამოცემული. ძირითადი ტექსტის წაკითხვა ეჭვს არ იწვევს, თუმცა მეორე სტრიქონის მეორე სიტყვას მკვლევარები განსხვავებულად კითხულობენ. მარი ბროსე, რომელმაც პირველმა გამოსცა ტექსტი ქარაგმების გახსნით, პირდაპირ კითხულობს „მომგესა“, თუმცა სქოლიოში აღნიშნავს, რომ წერია სიტყვა „მოგესა“⁴, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი 1907 წელს გამოცემულ წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი და

¹ Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли (Тбилиси, 1975), с.138.

² პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, (თბილისი, 1973), გვ.130.

³ პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება (თბილისი, 1965), გვ.93.

⁴ Brosset M., Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848 (sixieme rapport) (1851), p.7.

შენიშვნანი“, კითხულობს „მოგესა“¹, გიორგი ჩუბინაშვილმა კი (რომელიც პირველად 1923 წელს ეწვია ტაძარს, 1938-1940 წლებში კი მისი ხელმძღვანელობით, აქ აზომებითი სამუშაოები ჩაატარეს ლევან რჩეულიშვილმა და ნიკო ჩუბინაშვილმა) გაიზიარა მარი ბროსესეული წაკითხვა და ფიქრობდა, რომ სწორი წაკითხვაა „მომგესა“². შემდგომში თუკი ვინმე შეეხოს აღნიშნულ საკითხს, მექანიკურად გაიმეორა წარწერის ან ერთი ან მეორე წაკითხვა.

ჩვენი აზრით, მკვლევარები შეცდომაში შეიყვანა მანის მუცელში ჩაწერილი დაზიანებული გრაფემის არასწორმა წაკითხვამ. ამ გრაფემას ისინი კითხულობდნენ როგორც *ონი*. თუ დავუშვებთ, რომ დაზიანებული გრაფემა *ონია*, მაშინ ნამდვილად გამოვა სიტყვა „მოგესა“, როგორც ამას ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობდა. მაგრამ, რადგან ამ სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, მკვლევარებმა ადგილები შეუცვალეს *ენს* და *განს* და მიიღეს სიტყვა „მოგესა“, რომლის ქარაგმების გახსნის შემდეგაც მიიღეს სიტყვა „მომგესა“, იგივე „მომგებელსა“. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, სიტყვამ კი შეიძინა მნიშვნელობა, მაგრამ ბუნდოვანი გახდა ტექსტის შინაარსი: „გალატოზთა ზედა მომგესა შალვას...“.


ფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს, თუ *მანის* მუცელში ჩაწერილ გრაფემას წაკითხვითხვეთ როგორც დონი (რაც ეჭვგარეშეა). ამ შემთხვევაში, მივიღებთ სიტყვა „მდეგესა“ და ტექსტის აზრიც გასაგები გახდება: „გალატოზთა ზედა მდეგესა შალვას შეუნდნეს ღმერთმან“.

რაც შეეხება წარწერის დათარიღებას. შალვა კალატოზთა ზედა მდეგის წარწერა მეფე ალექსანდრე I დიდის სააღმშენებლო წარწერის თანადროულია და სავარაუდოდ, იმავე ოსტატის ხელითაა შესრულებული. ამდენად, მისი ქრონოლოგია მეფე ალექსანდრე I-ის ზეობის წლებით (1412-1442 წწ.) უნდა განისაზღვროს, უფრო კონკრეტულად კი, XV საუკუნის II მეოთხედით. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა და სამეფო კარმა აღმშენებლობას მიჰყო ხელი. ცნობილია ისიც, რომ მეფე ალექსანდრე I-მა 1425 წელს შემოიღო სპეციალური დროებითი საკომლო გადასახადი, რომელიც განკუთვნილი იყო დანგრეული ეკლესია-მონასტრებისა თუ ციხეების აღსადგენად. გადასახადი 1440 წელს გაუქმდა.

შედარებისათვის, აქვე მოვიტანთ მეფე ალექსანდრე I-ის სააღმშენებლო წარწერას, რომელიც მოთავსებულია კარიბჭეში, ტაძრის დასავლეთის შესასვლელი კარის თავზე, იატაკის დონიდან 278 სმ. სიმაღლეზე.

წარწერა სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. ის რამდენჯერმე გამოქვეყნებული სხვადასხვა მკვლევართა მიერ, თუმცა პალეოგრაფიული პირი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო წრე-ბრუნვაში. ასევე, მცირე დაზუსტება შეგვაქვს წაკითხვაში, რომელიც ტექსტის საერთო შინაარსს არ ცვლის.

არქეოგრაფიული დახასიათება: ასომთავრული; 2 სტრიქონი; დაცულია წარწერის პორიზონტალური მდებარეობა. ნაკვეთია დიდი ასოებით, ღრმა კვეთით, კარიბჭეში, ტაძრის დასავლეთის შესასვლელი კარის თავზე, იატაკის დონიდან 278 სმ. სიმაღლეზე. უჭირავს ფართობი 235X36 სმ.; ყველაზე დიდი გრაფემა *ხანის* ზომა: 17,5X6,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემა *ანის* ზომა: 4,0X4,0 სმ.; წარწერა კიდურწაისრულია. გრაფემებისათვის დამახასიათებელია ლიგატურა. განკვეთილობის ნიშანია ორწერტილი. გამოყენებულია ხმოვანკვეცილობითი და შუაკვეცილობითი დაქარაგმება, ქარაგმის ნიშნია კლაკნილი განივი ხაზი.



†: ხ: ც ბ ზ რ: ი რ გ ჟ დ: გ ჟ ღ ღ: ბ ზ ღ: ც ხ ქ ნ ბ ჯ ო | ა ჯ ო: გ ჯ: ღ ბ: ც ი უ რ: ს ჟ ბ ჯ: ო ს: ც ბ ზ რ ი რ ბ ც ს ხ ო გ ო ე ზ ხ ყ ო ს

ქ. ზე აღიღენ ღ(ღმერთმა)ნ მეფ(ე)თა მეფ(ო)ბა დიდისა ალ(ე)ქს(ან)დრეს(ი) | რ(ომლ)ისა მ(ი)ერ კ(უალა)დ აღეშენა ს(ა)ყდ(ა)რი ესე აღ(ი)დენ ღ(ღმერთმა)ნ და ს(უ)ლი მ(ა)თი კ(უ)რთ(ი)ხ(ე)უქლ ყოს.

¹ ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი* (ტფილისი, 1907), გვ.107.
² გ. ჩუბინაშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 466.

წარწერის პალეოგრაფიულ დახასიათებაზე აღარ შეეჩერდებით, რადგან ალექსანდრეს სააღმშენებლო წარწერა და შალვა კალატოზთა ზედა მდევის წარწერა ერთი ხელითაა შესრულებული და ზუსტად იგივე მახასიათებლები აქვს, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ, შალვა კალატოზთა ზედა მდევის წარწერის განხილვისას. ამიტომ პირდაპირ გადავალთ ტექსტის ანალიზზე.

ტექსტის დადგენა და ანალიზი: წარწერა მოთავსებულია ორხაზოვან ბადეში. შესრულებულია ღრმა, მკაფიო კვეთით. მაღალი გრაფემები გამოყვანილია ლამაზი ხელით, დაფერილია სინგურით, ხასიათდება ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მრგვალი ფორმებით. წარწერა მცირედ დაზიანებულია, თუმცა ტექსტი გარკვევით იკითხება. პირველი სტრიქონი ჩაწერილია ორ პარალელურ ხაზს შორის რომელიც ოსტატს გაუვლია რათა წარწერის კვეთის დროს დაეცვა პორიზონტალობა.

წარწერა რამდენჯერმეა გამოცემული. მარი ბროსეს წარწერა გადმოცემული აქვს ქარაგმების გახსნილი¹, ექვთიმე თაყაიშვილი კი დაქარაგმებულ სიტყვებს ზოგჯერ ისე გადმოსცემს, როგორც წარწერაშია, ზოგჯერ კი ქარაგმების გახსნილი, რაც მცირე გაურკვეველობას იწვევს (ტექსტის აზრი არ იცვლება, მაგრამ არ ჩანს, რეალურად რა გრაფემებს ხელაგდა მკვლევარი)². გიორგი ჩუბინაშვილს შედარებით ზუსტად აქვს გადმოცემული ტექსტი, თუმცა ორი მცირე უზუსტობა აქაც შეინიშნება³: 1. მეორე სტრიქონის პირველ სიტყვა დაქარაგმებულია შემდეგი სახით: „რისს“, ხოლო გიორგი ჩუბინაშვილი კითხულობს, როგორც „რლისა“ ანუ ამ წაკითხვის მიხედვით, *ლასი* წარწერაში არ არის; და 2. იმავე სტრიქონის მეხუთე სიტყვა დაქარაგმებულია შემდეგი სახით „სყდრი“, ხოლო გიორგი ჩუბინაშვილი კითხულობს როგორც „სყდარი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შენიშვნები ტექსტის შინაარსს არ ცვლის, თუმცა საყურადღებოა.

ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული წარწერების სახით, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს დღემდე უცნობი გიორგი კალატოზთა ზედა მდევის XVII საუკუნის 60-70-იანი წლების წარწერა, ასევე, მეფე ალექსანდრე I დიდის სამშენებლო წარწერისა და შალვა კალატოზთა ზედა მდევის წარწერის პალეოგრაფიული ასლები, არქეოგრაფიული და პალეოგრაფიული დახასიათებით. გარდა ამისა, ვასწორებთ წარწერების დღემდე არსებულ გამოცემებში ტექსტის წაკითხვისას დაშვებულ შეცდომებს.

ზემოთ განხილული სამივე წარწერა მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც ეპიგრაფიკული ძეგლი, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნებით და საკუთარი, ინდივიდუალური თავისებურებებით. გარდა ამისა, წარწერები შეიცავს შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს შესაბამისი პერიოდების ისტორიის შესასწავლად.

ბიბლიოგრაფია

1. ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა, *პირღებულის მონასტერი, 1989 და 2002-2003 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები* (თბილისი, 2005).
2. ვ. ბერიძე, *XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1994).
3. დროებითი მეთვალყურე, სოფელი რუისი, *ივერია*, 14 აგვისტო, №173 (1903).
4. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973).
5. პ. ზაქარაია, *ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1965).
6. პ. ზაქარაია, *საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები* (თბილისი, 1973).
7. ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი* (ტფილისი, 1907).
8. სიკოძე გარსო, სოფელი რუისი, მარიამობისთვის 11-ს, *ივერია*, 17 აგვისტო, №178 (1886).
9. ა. ტულუში, *ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა* (თბილისი, 1992).
10. გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, *ენიმიკის მოამბე*, V-VI (თბილისი, 1940).
11. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ (თბილისი, 2012).
12. Меписашвили П., Цинцадзе В., Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли (Тбилиси, 1975).
13. Brosset M., Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848 (sixieme rapport) (1851).

¹ Brosset M., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

² ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

³ გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

**AN UNKNOWN INSCRIPTION OF GIORGI, „THE OVERSEER OF MASONS“,
FROM THE CHURCH OF THE MOTHER OF GOD IN RUISI**

The Ruisi Church of the Mother of God lies in historical Shida Kartli (now the Kareli region), in the center of the village of Ruisi. The church is of interest from the viewpoint of epigraphy: there is a big number of both lapidary inscriptions and graffiti on its walls. These inscriptions deserve special study. Exactly the inscriptions of the Ruisi Church fall within the scope of my interest.

In June 2014 I visited the church for the first time. Several unknown graffiti were revealed. I made paleographic copies of both known and unknown inscriptions, some 30 outlines, and started to work on them. In near future these inscriptions will be published in a series of articles, thus introducing them into scientific circulation.

The present article concerns three construction inscriptions from the Ruisi Church, including an unknown inscription of Giorgi, “the overseer of masons”, which is first time introduced into the scientific circulation. I date this inscription to the 17th century. Giorgi mentioned in the inscription managed restoration work on the Ruisi Church complex carried out in 1660s-1670s on the commitment of Queen Mariam Dadiani. The paleographic copy of the inscription is first time published. The text is equipped with exhaustive *apparatus criticus* - archaeological and paleographic descriptions.

Apart from that, I introduce paleographic copies of two more construction inscriptions into scientific circulation for the first time. These are King Aleksandre’s construction inscription and an inscription of Shalva, “the overseer of masons”. Texts of these inscriptions were published several times with minor inaccuracies. In the proposed article I suggest more precise readings of the above inscriptions.